ერასმუსი

ჩემი სახელია ლუკა ჟვანია, ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი, ფაკულტეტი სასურსათო ტექნოლოგიები. 2021 წლის იანვრიდან ამავე წლის ივნისამდე ვიმყოფებოდი გაცვლით პროგრამაზე საფრანგეთში, კერძოდ ISA Lille - ს უნივერსიტეტში სასურსათო მეცნიერებების ფაკულტეტზე.

ჩემი პირველი ემოცია დაკავშირებულია ჩასვლის დღის საღამოსთან, როდესაც ჩავედი ქალაქ ლილში, მზე ჩადიოდა. აქვე გადავიღე პირველი ფოტო და მივხვდი თუ რა სასიამოვნო ხუთი თვე მელოდა წინ.



მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი წელი არც თუ ისე დიდი პერიოდია განსაკუთრებულად ღრმა ცოდნის მისაღებად, ძალიან კმაყოფილი ვარ ყველა საგნით რომელიც ავირჩიე და გავიარე. მინდა გამოვყო „მიკრობიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური პროდუქტების დახასიათება“. ამ საგნის ფარგლებში გვქონდა ბევრი ლაბორატორიული სამუშაო, რომელიც ძალიან საინტერესო და რაც მთავარია ისეთი იყო, როგორიც საქართველოში არ გვქონია. ჩემთვის ასევე ძალიან საინტერესო და მიმზიდველი საგანი იყო ნუტრიცია, რომელმაც ძალიან ბევრი პირად ცხოვრებაში გამოსაყენებელი რამ მასწავლა.



მინდა აღვნიშნო არაპროფესიული გამოცდილება, რომელიც ეხება საერთაშორისო ჯგუფში სწავლას, სადაც გავიცანი ძალიან ბევრი განსხვავებული რელიგიის, საზოგადოებისა და ტრადიციების ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერასმუსის გუნდს (საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს), ასევე ევროკავშირის ერასმუსის გუნდს, რომ განვითარებადი ქვეყნების სტუდენტებს გვაძლევენ ასეთ შესაძლებლობებს. ესეთი გამოცდილება უკიდურესად მნიშვნელოვანია არა მარტო პირადი კარიერული და პროფესიული განვითარებისათვის, არამედ ქვეყნის განვითარებისთვისაც.

ძალიან ბევრი დადებითი ემოცია მივიღე ევროპაში და საფრანგეთში მოგზაურობისას, რაც ჩემი ცხოვრების დაუვიწყარ მოგონებად დარჩება.